ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 19

ხულო 24 მაისი 2016 წელი

ერთის მხრივ ს.ს.ი.პ. ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანიაკეთის საჯარო სკოლა (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი დირექტორის რომან საგინაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ სულიკო ქედელიძე წარმოდგენილი დირექტორის სულიკო ქედელიძის სახით, (შემდგომში „მიმწოდებელი") „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ვიდეო კამერების (CPV კოდი: 32323300). ვიდეო კამერების სამონტაჟო სამუშაოები (CPV კოდი: 51314000).

51314000 ლარი
32323300 ლარი

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 1281 ლარს.

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს ერთბაშად, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 1 დეკემბრამდე შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია ხულო, სოფელი მანიაკეთი

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში, ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის შესაბამისად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან ან/და შესაბამისი ანგარიშსწორების დოკუმენტის წარმოდგენიდან 15 დღის ვადაში.

4.2. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონლის გარკვეული ნაწილის აუთვისებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს არ უნდა გააჩნდეს პრეტენზია დარჩენილ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6. ხელშეკრულების ცვლილება და შეწყვეტა

ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის ცვლილება დაშვებულია, ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7. სხვა პირობები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

8.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

8.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად მხარეთათვის.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე.

9. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ს.ს.ი.პ სოფელ მანიაკეთის საჯარო სკოლა
ს/კ 248053662

დირექტორი: რ. საგინაძე

მიმწოდებელი:
ი/მ „სულიკო ქედელიძე"
მის: ხულო სოფელი ქედლები
ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ს/კ 61009009770
ანგარიშის # GE85TB7715945061100030

ს. ქედელიძე

DEMO VERSION IMAGE-XCHANGE www.docu-track.com
PDF-XChange Click to buy NOW! www.tracker-software.com